

572
1983

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი
ISSN 0132-3343

8



№ 12 დეკემბერი 1983 წ.

სიმე

სვანეთის თავგადასავალი

სვანეთი ძველად

„ცასთან ახლოს მდებარე ქვეყანა“ — ხშირად ასე მოიხსენიებენ სვანეთს მოგზაურები, მეცნიერები, მწერლები, ჟურნალისტები. მართლაც საქართველოს ეს მშვენიერი კუთხე ზღვის დონიდან საშუალოდ თითქმის ორიათასი მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. დღევანდელ სვანეთში ორი რაიონია — მესტიისა და ლენტეხის რაიონები, ანუ, როგორც აქაურები უწოდებენ, ზემო სვანეთი და ქვემო სვანეთი; იგი მოიცავს ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობებს და მდინარეების — ენგურისა და ცხენისწყლის აუზებს. მრავალი სვანე ბინადრობს დასავლეთ საქართველოს მთიანეთში — ისტორიულად ცნობილ დაღის სვანეთში, რომელიც მდინარე კოდორის ხეობაში მდებარეობს.

ადრე სვანეთი გაცილებით უფრო დიდი ყოფილა: ცენტრალური კავკასიონის ქედს გადაღმა უამრავ ნაშთსახლარს, კოშკებს და მათ ნანგრევებს თუ ნაშთებს სვანური წარმოშობის სახეობი ჰქვია. შემორჩენილია ამ კოშკებსა და ნასოფლარებთან დაკავშირებული ლეგენდა-გადმოცემები და თქმულებებიც.

ძველ ბერძენ მეცნიერსა და მოგზაურს სტრაბონს ნათქვამი აქვს, რომ სვანებს ორასი ათასი მეომარი გამოჰყავდათ საბრძოლველად და სამასი კაცისაგან შემდგარი საბჭოს მეშვეობით განაგებდნენ ქვეყნის საქმეებს.

ისტორიული ცნობები ადასტურებენ, რომ სვანური მოდგმის ტომები მძლავრობდნენ ძველად საქართველოს დასავლეთ მთიანეთში და კავკასიონის ქედის გაყოლებით შავი ზღვისპირა ტერიტორიებზე.

მკითხველი ალბათ დაინტერესდება, მერე როგორღა წარიმართა ამ ადგილებში მობინადრე ქართველი ტომების ბედით. სამწუხაროდ, შემდეგ, რომ სხვადასხვა ურდოების შემოსევებმა აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან თუ დასავლეთიდან თანდათან შეავიწროვა აქაური მოსახლეობა, აჰყარა ისინი მშობლიური ადგილებიდან და სამხრეთში გადმოიხიზნა, ნაწილი კი ადგილზე დარჩა და დროთა განმავლობაში ახალმოსახლე ტომებში გაითქვიფა. ამაზე ნათლად მეტყველებს


ჩრდილო კავკასიაში დღემდე მრავლად შემორჩენილი სვანური გვარები და მათი ძირები.

ქართველი მეცნიერ-გეოგრაფოსი ვახუშტი ბატონიშვილი თავის ცნობილ წიგნში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, სვანებს მოიხსენიებს „დიდტანოვანებად“, „ახოვნებად“, „დიდ-მძლევ-მუშაკებად“, „გუშაკებად“...

მართლაც, როცა საქართველოს უჭირდა, სვანეთის ლაშქარი ყოველთვის მზად იყო გვერდში ამოსდგომოდა თანამომეგებს. სვანები მონაწილეობდნენ დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ომებში.

ერთი სვანური ლეგენდა გვიამბობს, რომ ბრძოლებიდან შინ მობრუნებულ სვანეთის ლაშქარს მურის ხიდი ჩასტყდომია (ეს ხიდი ლეჩხუმისა და სვანეთის საზღვარზე მდებარეობს). ვისაც ცხენისწყალზე გადასვლა ვერ მოუხსნია, ბარად დამკვიდრებულა. ასე გავრცელებულა სვანური გვარები მთელს საქართველოში.

სვანებს მკვიდრად ჰქონდათ ჩაკეტილი ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთი საზღვრები — მათი შიშით მტერი კავკასიონზე ცხვირის შემოყოფას ვერ ბედავდა. ამ შეუფასობის წყალობით სვანეთი იქცა ქართული კულტურის ძეგლების ნამდვილ საფანედ-ომიანობისა და შე-



მოსვენების უამს მამულშივლებს ბარიდან აქ ამოჰქონდათ შესანახად განძეულობა. ასე გადარჩა მრავალი ხელთუქმნელი ნივთი, ჩვენი კულტურისა და ისტორიის ძვირფასი ნიმუში. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია უძველესი ხელნაწერები („ადიშის ოთხთავი“), ჯვრები, ხატები, სამწერობლები, ოქრომჭედლობის ნიმუშები და სხვა...

გარესამყაროსგან სვანეთის ერთგვარი მოწყვეტილობის გამო თითქმის პირველყოფილი სახით შემოინახა მისი ენა — ფუძე ენის — ქართულის ერთ-ერთი განშტოება. მან დღემდე შეინარჩუნა ამ ერთიანი უძველესი ფუძე ენისათვის ნიშნდობლივი მრავალი თვისება, დღეს ხმარებიდან გამოსული, მივიწყებული და მეტყველებიდან უკვალოდ გამქრალი სიტყვები. სწორედ სიძველის გამოა, რომ სვანური ენა მიგრულ-ჭანურთან ერთად დღესაც ამოსავალია ქართული ენის მკვლევარებისათვის და კავკასიოლოგებისათვის. ამიტომ იგი ისწავლება კიდევ ჩვენს უნივერსიტეტში.

ასევე სვანურმა ფოლკლორმა — ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ და სიმღერებმა პირვანდელი სახით მოიტანა დღემდე მრავალი საინტერესო თქმულება, გადმოცემა და ლეგენდა. სვანურ სიმღერებს თითქმის უცვლელად აქვთ შერჩენილი უძველესი მუსიკალური უღერადობა. პირველყოფილი სიდიადით არის აღბეჭდილი მზის საგალობელი „ლილიო“.

497
17.46



სვანური თქმულებებიდან შესანიშნავია გადმოცემები ნადირთა მფარველ დაღზე — ულამაზეს კლდის ფერიაზე. ბევრ ხალხურ ლექს-სიმღერაში ასახულია ისტორიული სინამდვილე — აქაურ მკვიდრთა ბრძოლა თავისუფლებისათვის; განდიდებულია ვაჟკაცობა, მამულისათვის თავდადება („ყანსავ ყიფინაე“, „მირანგულა“); თამარ დედოფლისადმი მიძღვნილი საფერხულო სიმღერები ნათლად მეტყველებენ ჩვენი მთისა და ბარის ისტორიულ ერთიანობაზე (ყველაფერი დიადი და ლამაზი სვანეთში თამარ დედოფლის სახელთან არის დაკავშირებული). სვანურ ზეპირსიტყვიერებაში ასახულია აგრეთვე მამაცი მონადირეებისა და მთამსვლელების სახეები. (მთამსვლელობა სვანების ყველაზე დიდი გატაცებაა დღესაც. სვანი ალპინისტებიდან განსაკუთრებით გაითქვა სახელი „კლდის ვეფხვმა“ — მიხეილ ხერგიანმა).

კვლავ მივვრუნდეთ სვანეთის წარსულს. მთიანი რელიეფი, მკაცრი გარემოპირობები, სახნავ-სათესების სიმცირე და სიმწირე, ქვეყნის ეკონომიკურ ცენტრებთან დაშორება ცხოვრების ძნელ პირობებს უქმნიდა აქაურ მკვიდრს. ძალიან უჭირდა მუყაით და გამრჯე აქაურ მშრომელ კაცს თავის გატანა. ჯალბი რომ ირჩინა, იგი სამონაგროდ გადადიოდა ჩრდილო კავკასიაში, ჩადიოდა ბარში, წელზეზე ფეხს იდგამდა... მაგრამ მალაღზნეობრიობისა და კაცურკაცობის, სიამაყისა და თავისუფლების დროშა მაინც არასოდეს ძირს არ დაუხრია, მომავლის რწმენა და იმედი არასოდეს არ დაუკარგავს. სვანეთი მრავლდებოდა, ახალი ცხოვრებისათვის ემზადებოდა...

სვანეთი დღეს

გაუმართლა კიდევაც... ოქტომბრის რევოლუციამ ახალი ცხოვრების სიო შემოიტანა სვანეთში. ფართოდ განიხვნენ მიუვალი ხეობების ჭიშკრები. იქ, სადაც ადამიანს ქვეითად უჭირდა სიარული, დღეს სამაქანო გზებია გაჭრილი. სვანეთი საპაირო გზით რესპუბლიკის სამ ქალაქთან — ქუთაისთან, სოხუმსა და ზუგდიდთან არის დაკავშირებული. იგი მთლიანად რადიო-ელექტრო-და ტელეფიცირებულია. სვანეთში დღესაც მრავალი სკოლა, კულტურული დაწესებულება, ახალგაზრდული კლუბი, სპორტული კომპლექსი და მოედნები შენდება, ფართოდება გზები. ზოგი სოფელი არქიტექტურულ ნაკრძალად გამოცხადდა. მიმდი-

კ. მარქის ს.ბ. ს.კ. ს.ს.რ.
სახელმწიფო ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა



ნარეობს კოშკებისა და ეკლესიების აღდგენა — რესტავრაცია, სვანური საცხოვრისების შეკეთება. მესტიისში შენდება მუზეუმი — ძალიან საინტერესო ხუროთმოძღვრული ნაგებობა, სადაც თავს მოიყრის სვანეთში დაცული და სხვადასხვა ეკლესიებში დავანებული, აგრეთვე მოსახლეობაში გაბნეული მთელი განძეულობა, ჩვენი წარსულის ნივთიერი ძეგლები.

სვანი ახალგაზრდობა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლას ეწევა. უმაღლეს დამთავრებულთა რიცხვით (მოსახლეობის რაოდენობასთან შეფარდებით) ამ კუთხეს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირშიც.

სვანეთის სიღამაზე მთელს მსოფლიოში განთქმული. თვალს იზიდავს თოვლით განსპეცაკებული უღამაზესი მწვერვალები — მრისხანე უშბა და პატარძალივით კოპნია თეთნულდი, შხელდა და ჩათინი, აილამა და წურუნგალა, შხარა და რუსთაველის პიკი, ბანგურიანი და ლაილა; ვერცხლისფერი საუკუნოვანი მყინვარები, საიდანაც იღებენ სათავეს ცხენისწყალი, ენგური და მათი მრავალრიცხოვანი შენაკადები; წინვოვანი ტყეები, ხმაურიანი მდინარეები და კოშკებით ცაბანვდილი კოლორიტული სოფლები განუმეორებელ სიღამაზეს ანიჭებენ იქაურობას. ამიტომაც საქართველოს მთიან კუთხეებს შორის სვანეთი ყველაზე ხალხმრავალი, ხმაურიანი და სტუმრიანია. ზაფხულის თვეებში ჩრდილოეთიდან თოვლიან უღელტეხილებზე ყოველდღიურად ასობით ტურისტის ჩამოდის აქ. ასევე სვანეთს მრავლად სტუმრობენ საზღვარგარეთელი მოგზაურები. საოორტის მოყვარულები გამოცდილი ადგილობრივი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით სანრთხელ ვარჯიშებს ატარებენ მუდმივმოქმედ ალპინისტურ ბანაკ — „აილამაში“.

მაგრამ ამ კუთხის მთავარი სიმდიდრე მაინც აქაური გამრჯე და მუყაითი, პატიოსანი და ფიზიკურად ძლიერი, სტუმართმოყვარე და ახალი ცხოვრების სულისკვეთებით გამსჭვალული სვანი კაცი გახლავთ.

აქ, ცასთან ახლოს მდებარე მხარეში დღესაც ამაყად ფრიალებს სინმინდის, მაღალზნეობრიობისა და კაცურკაცობის მზით შეფერილი დროშა.

სხუთასი კოშკი

სხუთასი კოშკის მხარეში

სვანეთს „სხუთასი კოშკის მხარეს“ უწოდებენ. ჩვენმა მეცნიერებმა აქ სხუთასი კოშკი და კოშკის ნანგრევი აღრიცხეს. ერთ ღროს, როგორც ჩანს, ენგურისა და ცხენისწყლის ხეობები შეუვალი და მტრისათვის მიუდგომელი ტანწერწევა კოშკებით იყო მოფენილი, რაც თვალნათლივ მიგვანიშნებს აქაურ მკვიდრთა თავისუფლებისმოყვარეობაზე. შემთხვევითი როდია, რომ ამ კუთხის ერთ ნაწილს დღემდე შემორჩა ისტორიული მეტსახელი—„თავისუფალი სვანეთი“. მართლაც აქ არასოდეს არ ყოფილან ფეოდალები და ბატონები, აქ ყველგან თანასწორუფლებიანობა სუფევდა. კოშკები ეხმარებოდნენ ცალკეულ გვარებსა და თემებს და ასევე მთელს ამ მხარესაც თავისუფლების შენარჩუნებაში. ამიტომ იყო, რომ დამპყრობლები და გაბატონებული კლასები პირველ რიგში მათ დანგრევასა და იავარქმნას ცდილობდნენ. ასე განადგურდა კოშკების დიდი ნაწილი საბატონო სვანეთში.

ბერძნებმა სვანეთის მკვიდრთ მოსონიკები შეარქვეს, რაც მათ ენაზე კოშკებში მოზინადრეს ნიშნავს.



უ შ გ უ ლ ი

უშგულის თემი ზღვის დონიდან ორიათას ორასი მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ეს არის უმაღლესი დასახლება ევროპაში. ძველად უშგული თავისუფალი სვანეთის ცენტრად ითვლებოდა. უ შ გ უ ლ შ ი უამრავი კოშკებია და აქაური კოშკები სხვებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ ფიქლით არიან ნაშენი. ყველაზე მაღალი კოშკი თამარ მეფის სახელობისაა. ამ არც თუ დიდ თემში ისტორიულად ხუთი ეკლესია იყო. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ლამარიას ეკლესია, რომელიც კავკასიონის ამფითეატრის ფონზე ნარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. ამ ეკლესიასთან ერთი ძველი გადმოცემაა დაკავშირებული. იგი მოგვითხრობს თავისუფალი სვანეთის დასაპყრობად მოსული მებატონის ფუთა დაჩქელანის (დადეშქელიანის) დამარცხებაზე. როცა უშგულელები დაინახეს, რომ მრისხანე მებატონის ლაშქარს თავიანთი მცირერიცხოვანი ჯარით ვერ გაუმკლავდებოდნენ, გადაწყვიტეს



ეშმაკობისათვის მიემართათ. მათ ვითომ მორჩილება აღუთქვეს ფუთას და მეგობრულად მიიპატიჟეს, ლამარიას ეკლესიის გავანთან ქვის საკარცულზე დასვეს და ნადიმი გაუმართეს. მანამდე კი მთელმა სოფელმა შეაგროვა დენთი და ტყვია-წამალი, მერე ეკლესიის გალავნიდან საკარცულზე დამიზნებულ თოვს ჩახმანზე გრძელი თოკი გამოაბეს, ამ თოკს ყველა ოჯახიდან თითო წევრმა ჩაჰკიდა ხელი, რომ მომხდარზე პასუხისმგებლობა თანაბრად გაენანილებინათ და სოფლის უფროსის დამახებაზე — ფუთას წითელი ღვინო მოართვეითო, — ყველამ ერთად გამოქაჩა თოკი. ასე ეშმაკურად განგმირეს უშგულელებმა დაუპატიჟებელი სტუმარი და თავისუფლება შეინარჩუნეს.



ფუთას ლაშქარი კუდამოძუებული გაიქცა და მას მერე თავისუფალ სვანეთში შემოჭრას მტერი ისე ადვილად ვერ ბედავდა. ეს ამბავი სვანურმა ზეპირსიტყვიერებამაც შემოინახა.



სვანური ხალხური ლექსები

ლიღო

დიღება შენდა, დიღო უყეო!
 დიღება შენდა, ზეცეირო!
 ოქროსი ბიღებს სწა-სასხლუ-
 ზღუდე გავლია ოქროვანი.
 ირმები წვანან საპირკველზე.
 ქანკურსზე სხედან შევარდნები.
 შენი ხარები ბუღრობენ.
 რქანი ასხიათ ოქროსანი.
 ბნელი თაღები ირდევებიან.
 იხრება ოქროს სამკაული.
 ბრიალებს ოქროს დარბაზები.
 დიღება შენდა!
 დიღება შენდა, ზეცეირო!



ღრუბელი

— ჩქარა წადი, ღრუბელო,
 ველზე ჩრდილებს ნუ ფენო.
 — ჩქარა როგორ წავიდე,
 კელები მხველელს მეძვისო!
 ფეხშიშველა დავდივარ,
 ფეხისგული მეწვისო.
 თარგნა ღამით წამიღიანა



ბაღრი ზოხოწელიძე

მონაღიკა

სალამოს პატარა ბიჭმა ედგას უთხრა, ხვად ადრე უნდა ავდგე, თოფი მოვიმზადო და სანადიროდ წავიდეო.

— კი მაგრამ, რაზე აპირებ ნადირობას?— ედამ ბავშვი კადთაში ჩაისვა.

ამაზე კი არ უფიქრია პატარა ბიჭს, და ცოტა ხნის შემდეგ რინიანად განაცხადა:— ვეფხვებზე და ღომებზე.

— ძალიან კარგი, — ედამ თავზე გადაუსვა ხელი, — ოღონდ კარგად უნდა ივანშმო, ადრე დაწვე, დიღითაც ადრე გაიღვიძო, ივარჯიშო, მერე კარგად ისაუზმო, თორემ ვეფხვებსა და ღომებს კი არა, კურღლეცაც ვერაფერს დააკლებ.

ეს რა ამბავიაო, ფიქრობდა პატარა ბიჭი, ეს რა ამბავიაო — ადრე დაწოდა და ადრე ავდგომა, კარგად ვანშმოდა და საუზმობდა, თანაც ვარჯიშო. ერთი პირობა კიდევ დაეზარა, მაგრამ შევადლო თუ არა თვადი ახად თოფს, ედგას თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, მაგდისთან მიიბრინა და თქვა, — ჩქარა, ვანშამი!

პატარა ბიჭმა ივანშმა და ადრეც დაწვა. არც ტრევეზობორისთვის უყურებია. არც ზღაპარი მოუთხოვია, ისე დაიძინა.

დიდ ტყეში მიაბიჯებდა მთელი ღამე პატარა ბიჭი. ესიზმრებოდა ყვავილები, ხეები, ჩიტები და, რა თქმა უნდა, ვეფხვები და ღომები. ოღონდ ეს ვეფხვები და ღომები სათამაშოებოვით იყენენ, ზოგი გასაბერ სათამაშოსაც აჯონებდა.

— გაიღვიძე, შვილო, გაიღვიძე. — ედამ ოდნავ შეანჯღრია ბიჭი.

ის კი ამ დროს თოფს უმიზნებდა დიდ, ჰრეღ ვეფხვს. მხეტი ხავერდისას წააგაგდა. ეს, ცოტა არ იყოს, არ მოსწონდა პატარა ბიჭს.

— მოიცა რა, ედამ. — მხარი იცვალა.

სულ რალაც წამებში კეთილი სპილო გამოჩნდა. ხორთუმი ასწია და ეტყობა დასადაპარაკებლად გაალო პირი, რომ სწორედ ამ დროს ისევ იგდნო პატარა ბიჭმა ედგის ხელი.

— კარგი რა, ედამ, — თვადების სრესვით წამოჯდა საწოლზე.

— ნადირობა? დაგავიწყდა, სანადიროდ რომ აპირებდი წასვლას? — უღიმოდა ედამ.

პატარა ბიჭი უტებ წამოხტა.

ივარჯიშო კიდევ. კარგადაც ისაუზმა. თოფი გამზადა — ჩახმანთან ჩამოკლებული ორი საცობი ჩაამაგრა და მხარზე მოიგდო.

ის იყო კარი გაალო, რომ მეზობლის ბინიდან ყეფით ფინია გამოხტა.

— ვაი, — შეკრთა ბიჭი, ედგას აეკრა, — ამიყვანე! ამიყვანე და ისე ჩამიყვანე.

— შენ რა გითხარი, — გაელშია ედგას და შევიტატებული ჩაუყვია კიბეზე.

თითქოს ჯრინაზე, ეზოში გასუდებს ერთიბეწო კნუტი გამდოლხტათ და დაიკანავა. მერე პატარა ბიჭთან გათამაშებაც სცადა.

— ედგას აღარ წავად სანადიროდ. — ბიჭი ისევ აეკრა ედგას, — დავიღადე.

სალამოს, ვანშობისას მამამ ედგისაგან გაიგო, რომ ბიჭი ვეფხვებსა და ღომებზე აპირებდა ნადირობას.

— ძალიან კარგი, — თქვა მამამ, — მერე?

— მერე უზარმაზარმა ღვკვებმა და კიდევ უფრო ვეფხვებოდა კნუტმა ცოტა არ იყოს შეგვაშინეს.

— ეს ძალიან ცუდი, — მამასაც გაელშია, — ისე, მინც რაზე აპირებდი ნადირობას?

— ვეფხვებზე და ღომებზე, — პატარა ბიჭი
თაფნალუნული იჯდა.

— მოდით, იცით რა ვქნათ, — მამამ ტაში
შემოკრა, — ხვად ზოლპარკში წავიდეთ, ოღონდ...

— ვიცი, — გაღიმებულმა ასწია თავი პატა-
რის ბიჭმა, — ვიცი, კარგად უნდა ვიცავშმო, ადრე
დავიძინო, მერე ადრე გავიღვიძო, ვივარჯიშო
და კარგად ვისაუბრო.

— აი კაცი, აი ვაჟკაცი, — მამა გადაიწია და
აკოცა ბიჭს.

მეორე დღეს მთელი ოჯახი ზოლპარკს ესტუმრა.

დიხანს იდგნენ ვეფხვებსა და ღომებთან. უცებ
მამამ იკითხა, — კი მაგრამ რას ვეროდი, რატომ
აპირებდი ამათზე ნადირობას?

სახელში მიბრუნებული პატარა ბიჭი საღამომ-
ზე ხატავდა ცხოველებს.

მერე ღვევი და კნუტი დახატა. დედას სთხოვა,
ნახატებს „უზარმაზარი ღვევი“ და „ვეფხვთვლი
კნუტი“ დააწერო.

ერთა დეამ დააწერა, მეორეს — მამამ. სამივეს
ელმებოდა — დედასაც, მამასაც და პატარა ბიჭ-
საც.

ზოგიერთი ნახატი იმდენად კარგი გამოვიდა,
რომ კედელზეც კი გააკრეს.



მხატვარი მარინა ლატარია



**ციხა ძიბიუზილი
გულწითელა**

რომელი ჩიტი დაასწრებს
ჩიტუნა გულწითელასა
აღრიან გამოღვიძებს,
ბუდიდან ამოფრენასა.
აყვავილებს ნაძვის ტოტს,
მზისკენ დაიწყებს ცქერასა,
ნისკარტზე ვეფხვანს აიბამს,
ჩიტკებარუნებს ენასა,
ცასა და მიწას ავეღრებს,
ბარტყების გადარჩენასა.
სხვის შვილს თავისში არ არჩევს,
ლუქმას მიაწვდის ყველასა,
აფიჭვივებულ პატარებს —
პირლია, ყელტიტველასა.
ათასჯერ მთა-ბარს დასერავს,
არავის არ სთხოვს შველასა,
წვიმას არ შეგბუება,
შეფარება თელასა,
გვიმრებში ჩაეკარგება
ქორს, შევარდენს თუ ძვრასა,
გაუძლებს გულის დაგადღეს,
გაუძლებს გულის ძგერასა,
აბა, ვინ ნახავს უსაქმოდ
ფუსფუსა გულწითელასა,
მთვარის ჩასვლისას იძინებს,
სისხამზე იწყებს სტვენასა,
ნისკარტზე ვეფხვანს აიბამს,
ჩიტკებარუნებს ენასა,
აყვავილებს ნაძვის ტოტს,
მზისკენ დაიწყებს ცქერასა,
გაბმულად ჩაარაკაკებს,
შოუ, დელია-დელასა.



ბრძენი არის პილი

ვაჟა შუაშინიძე

მგობის სინაპული

ყველა ბებრა, ყველა ასო
ერთმანეთზე ძვირად ფასობს,
მაგრამ მაინც უხარია
პაწაწინა მგობის,
რომ ხმოვანი კოტაა და
თანხმოვანი ბებრი:
— პირიქით რომ ყოფილიყო,
დაკუროვდებოდიოთ,
ხმაურიანი ხმოვანების
რხიანი ხმითო.



გუშე და პალი

— რა უბედო ვარ, უბედო,
რამ გამაჩინა გუშელო,
ან ორმოცო გვეჩენილიყო,
შეგ ნერგს ჩარგავდნენ მაინცო,
ანდა წყლად დავდენილიყო,
ანარგავს სკირღება წყალიცო,
კალიამ უთხრა:—ამაია,
ნუ წუხავ, ასე ძალიან,
ორმოც და წყალი გუშეა,
გუშე—ორმოც და წყალია.

კბილები რომ დაცვივდა,—
საყვარელი ბებია
წულასა და წრუწუნას
სულ არ შებრალებდა:
— აკი თვითონ გვასწავლის,
თვითონ გვეუბნებაო,
ბუნებაში უშიზნოდ
არაფერი ხდებაო.
თუ ასეა—ვადილოთ
დაცვენილი კბილები,
ზოგი ატკივებული,
ზოგი ასაკცივები.
ბრძენი არის კბილი,
იცი, თურმე, კბილა—
რაც ნაკლები გვრჩება,
მით ნაკლები გვტკივს.

მამლახუნა

მამლახუნაში დაივიწყა,
რომ მამლოცე ქათამია:
„თუ ვინმეა ჩემი ტოლი,
აქ კი არა, ცალ არიან,
საქათმეში რა შინდა?“
— თქვა და ცაში აფრინდა.
ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
მისი მშვენი სხვა არ იყო,
სულ ღრუმღერე ში დაფიხიანდა,
ვიღრე ქორბა არ წაიღო.



ზვიან ჩამბინი

ორიანა დაიჩივლა,
— რას მერჩიან, ნეტა?
ალარაფინ არ მიკარებს,
ყველამ გამომეცა,
სად წაიფო, ვის შევიჩივო,
ვინ მომიღებს ნეტა?
ტირის, ჩივის ორიანი
დარჩენილი ვანდა?
გაიბღინა საშიანი,
შისი აუფეხ ინება,
— მე ვარ ბიჭი ჯანიანი,
ყველა შემოიბღინა!
— რას სულელობს საშიანი,
მოკუნტული, ბეჭავი,
ვითომ დიდი რამე არი,
ვის რად უნდა ნეტავი!
ვის სჭირდება, ვის აზგია,
რას ყბელობს და ქაქანებს,
„სამს— დლოურნი, ვინც ვარგია,
რატომ გააქაქანებს!
ასეა—ილიმება
გოჭრე ბიჭი ოთხიანი,
ყოჩაღა ოთხიანი,
თუშეცა კოტა მორცხვი არი,
იცი, იცი, არა ვარგა
ყოფილი და მეტჩიანა,
იმ ყმაწვილ თვლის ხეშეშე ბარგა;
ვინც შრომა არ შეიცვანა,
მას შეგებობს, ვისაც უყვარს



წიგნი, ფიქრი, სიბეჭითი,
მარბაცებს და უსაკურებს,
ერთი წუთით ვერ მოითმენს,
— უმგებობრება—დაგიფარავს,
სიბრძნეს უსეავ გადგავს,
და ცხოვრების მხლებზე გზამე
არ დატოვებს გასაქირში,
მაგრამ მაინც ვერ დერება
ის ბუთიანს უფროს მასა.
თუშეცა სულ წინ მიგიძღვება,
ფრთხლს ვერასტროს გამოგასხამს,
ბუთიანი, ეს ნამგავა,
გს მერცხვად მუთიანი,
აგიტაცებს ბულია-მალა
სულ შიანი, სულ ფრიანი,
მიმოღაფრებს ბლას და ხედელოს,
მიწის გულში ჩავახელებს,
აგამაღლებს, გასახელებს,
დაგაოცინებს, რასაც ვეძებ,
ფიქრი, წიგნი, წიგნი, ფიქრი,
გარჯა, შრომა, თებნა ისევ...
„ბუთს— მეგობრობა—
სულ წინ მიქრი,
ვარსკვლავების ჩურჩულს ისმენ,
არ გაწუხებს გულში ხიხვიც
არც შურის, არც ცილობისა,
ჩვენ ვამაულობ შური ნიჭით
და მამულიშვილობითა.



— შენ რატომ შეგარქვეს? — ჩავაცვივდი მე.

— რატომ და... — ბაბუამ სქელ უღვამებზე გადაისვა ცერი, — აი, ერთი ბიჭის აბაჯს მოგიყვები და მიხვდები, რატომაც... ჩამოჯექი აგურ, ა, ბოკონაზე... იყო ერთი ბიჭი, ერქვა გია...

— გია მე მქვია.

— იმ ბიჭსაც გია ერქვა. მაშინ გია ერქვა... როცა გია ხუთი-ექვსი წლისა იყო, ბაბუამისს — გიორგის სახლი ტყიანი ფერდობის ძირას ედგა..

— იმ გაიას ბაბუასაც გიორგი ერქვა შენსავით?!

— კი, იმასაც. ჰოდა, ხუთი წლისა რომ გახდა გია, ბაბუამ მჭედელს მისთვის ნაჯახი გამოაჭედვინა, სათამაშო კი არა, ნამდვილი: ა, ეს საკუთრად შენი იქნებოდა. შვილიშვილი საჩუქარმა ძალიან გაახარა და იმ კოხტატარიან ლაპლაბა ნაჯახს უქმად გდებოთ ხომ არ დააუანგებდა, მეორე დღესვე ტყეს მიაშურა. მარტოდმარტო მიცუნცულეებდა ფერდობზე შეფენილ მუხნარში და ამტვრევდა ჯირკებს. არა, ხეს არ ჭრიდა, ცოცხალი ხის წამოქცევა არასდროს განუზრახავს გაიას, მხოლოდ ჯირკების მომტვრევის ჯიბრი სჭირდა, იმ ჯირკებისა, ტყის გამოხშირვისას რომ ჩნდებოდა ფერდობზე. მალე ჩამოთოვა. გაიამ ტყეში სიარული დიდთოვლობის დროსაც არ მოიშალა. ეზოდან ძლივს ჩანდა ხოლმე თოვლში და ჯირკებს მაინც უქნევდა ნაჯახს. სულ მარტოდმარტო მიადგებოდა შავტუხა ჯირკს, ვიდრე არ ამოფესვავდა და ფერდობზე არ დააგორებდა, არ მოეშებოდა.

— გაი, მოეშვი მაგ დასანავე ჯირკებს, ნამოდი შინ! — უხმობდა დედა.

— გაი, გეყოფა, ნამოდი, შეშის მეტი რა გვაქვს! — ეძახდა აღაიი ბებიას.

მხოლოდ გიორგი ბაბუა არ ეხმიანებოდა, ზოგჯერ ეზოდან გახედავდა, ეგ იყო და ეგ.

ტყისპირას მოსახლე კომლს შეშის მეტი მართლაც რა ჰქონდა. არც ზაფხულში აკლდა, არც ზამთარში, ეზოში შეშის დიდ-პატარა ხორა იდგა, მაგრამ გია მაინც ამტვრევდა ჯირკებს. ჯირკებთან შეუპოვარი ჭიდილი და ბრძოლა დიახაც ღლიდა ხოლმე, მაგრამ სწორედ ეს დაღლა ახალისებდა და ნაჯახის მარჯვე ქნევით გახურებულს შუაზამთარში ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა.

— ჩემი შვილიშვილის ღვარღვარა ოფლი ტყეში თოვლსაც კი ანდობსო, — იბადრებოდა გიორგი ბაბუა, თან ამხნევებდა



ბაბაი ზეზაძე მხატვარი მღუშარდ ამოტაძე

კერპჯიუხა

გიორგი ბაბუას კერპჯიუტას ეძახიან, ხოლო სალომე ბებია მეც დამძახის ხოლმე, ბაბუაშენივით კერპჯიუტა ხარო.

— ბაბუ, კერპჯიუტა სალანძღავი სიტყვაა თუ სააღერსო? — ვკითხე ერთხელ.

— გააჩნია, ჩემო გია, ვის რატომ ეძახიან, — მომიგო ბაბუამ.

ბიჭს. — ოფლმა არ შეგაშინოს, ჩემო გამხარებელო, თუ კაცმა პირისახე ხშირად ოფლით არ დაიბანა, დაუშნოვდება, ხოლო რაც უფრო მეტ ოფლს დაღვრის, სილამაზე თანდათან მოემტებაო.

გალამაზება რომ კარგი იყო, ამას რა დიდი მიხვედრა უნდოდა, ჰოდა, გია მარჯვედ იქნევდა პირპარპალა ნაჯახს, იოფლებოდა თოვლიან ტყეში, მაგრამ არასდროს გაცივებულა, არც სურდო შეჰყრია.

ჩვეულებრივი ხის მოჭრა-დაპობა არც ისე ძნელია, ჯირკი კი განთქმულია სიჯიუტით. გიას სწორედ იმ კერპჯიუტა, მიწაში ღრმად ფესვებგადგმული ჯირკების ძირფსვიანად ამომტრევა და დახლენა იზიდავდა. ძნელ საქმესთან შეჭიდების და მისი უეჭველად ჯობნის კეთილი ჯიბრი სჭირდა. ზოგჯერ მთელი დღე, დილიდან შებინდებამდე, მუხლებამდე თოვლში იდგა და ეჯაჯგურებოდა უჯიათ, გაკერებულ-გაჯიუტებულ ჯირკს. ეომებოდა, სანამ არ მოერეოდა და მიწიდან არ ამოგაღებდა. ჯირკს ისე ეჭიდებოდა, როგორც ზღაპრის გმირი ამირანის ცხრათავიან დევს და როცა ჯობნიდა, უზომოდ უხაროდა.

ეზოში, შეშის ხორებთან რომ დაყრიდა გია თავის ჯირკებს, მონადირე ბიძამისი ფირანა გულიანად იცინოდა: ოჰოჰო! ამ ცეროდენა ვაჟკაცს უყურეთ, ერთდროულად რამდენი დათვი მოუკლავსო. გიას „ნანადირევი“ ჯირკები დათვებზე მეტად მოკლევფეხა და ერთმუშტა მაჩვენებს ჰგვანდნენ, მაგრამ რაკი ბიძა ასე ეუბნებოდა, როდის იყო, მონადირე კაცს მონადირის შექება არ სიამოვნებოდა.

გიას შეუპოვარი „ნადირობა“ ყველაზე მეტად მაინც გიორგი ბაბუას უხაროდა და სიხარულს არც მალავდა. შვილიშვილის „მონადირებულ“ დაჯღვარკულ „დათვებსა“ და „მაჩვენებს“ ბუხარში რომ შეუძახებდა, ააგიზგიზებდა და ვარდისფერ მსხვილ-მსხვილ ნაკვერცხლებს დააყრევინებდა, თაფლისფერი თვალები სიხარულით თვითონაც ნაკვერცხლებივით გაულვივებოდა და ნამდაუნუმ იძახდა:

— ქალებო, ქალებო, შეხედეთ, ჩემი გიას ჯირკები რა ლამაზად იწვიის, ჩემს მომტრეულ ჯირკებს ასჯერ სჯობია, ღმერთმანი, მანისის ვარდებივით წითელი ნაკვერცხლები სცივია. ვინც ამ ცეცხლზე გამოცხვარ პურს შეჭამს, არსოდეს მოკვდება.


ბაბუას შექებით წაეჭებულა გია მეორე


დღეს მეტი ხალისით გარბოდა ტყეში და უფრო გულმოდგინედ ხოცავდა ჯირკის „ნადირს“.

— გია, გეყოფა, გეყოფა, ჩამოდი ტყიდან! — უხმობდა დედა.

— არაფერი მოინიო, ბიჭო, მოეშვი მად დასანვავ ჯირკებს! — ეძახდა ბებია.

გია მაინც გულიანად იქნევდა ბაბუას ნაჩუქარ ნაჯახს...





ზაპარია შმაზალიშვილი

ტყეშილა

მთაში, უღრან ტყეში
 დგას ვეება რცხილა,
 ძველი, მრავალტოტა
 და კოჭოყებცხვირა.
 ყველა შემას გვიჯობს
 რცხილა ზამთრის სისხამს,
 ვაპატიოთ რცხილას,
 ხილს რომ ვერას ისხამს.
 ხილს რომ ვერას ისხამს,
 ვარგა ცულის ტარად,
 რათა ვაქოთ რცხილა,
 ეს სიკეთეც კმარა.

— აი, ჩემო კარგო, მაშინ შეარქვეს გიას კერპჯიუტა! — დაამთავრა ბაბუამ ამბავი და უღვაშებზე ცერი გადაისვა.

— შენ, ბაბუა?

— ჰო, ჩემო სიცოცხლე, მაშინ მეც გიას მეძახდნენ შენსავით. ახლა ხომ გაიგე, კერპჯიუტა რატომაც შემარქვეს. გაიმ თავი დაუქნია.

— ეს თუ გაიგე, ჩემო ყოჩაღო ბიჭო, იმასაც გეტყვი, რომ სიჯიუტე ორგვარია: ერთი, თუ გაჯიუტდა, რომ მოკლა, საქმეს ვერ გადაკეთებინებ, მეორე კი გულში იტყვის, ეს საქმე დროზე რომ არ გავაკეთო, მოვკვდებიო, და... როდი კვდება, ჯობნის საქმეს. კი, ასეა, აბა! პირველის კერპჯიუტობა სიზარმაცისა და უნიათობისაა, მეორისა — ბეჯითობისა და სიმტკიცის. გაიგე, ჩემო კარგო?

— კი ბაბუა, ყველაფერი გავიგე.

მეორე დღეს სკოლიდან რომ დაებრუნდი, ვისადილე და ეზოში ერთი თვის წინათ დაგდებულ კორძებიან დიდ ჯირკს მივადექი რკინის უროთი, რკინის სოლით და ნაჯახით.

— გაა, მოეშე! — გადმომძახა აივნადან ბებია სალომემ, — მაგ ჯირკს კერპჯიუტა ბაბუაშენმა ვერაფერი დააკლო და შენ მოერევი?

— ენახოთ, ბებიკო, ეგება მოვერიო, — მივუბე მუ, ჯირკის პატარა ნაპრალში ხის სოლი ჩავამაგრე და დავარტყი ურო... სოლი ჯირკში ჩაჭედვის მაგივრად ცეტივით ამოხტა. ისევე ჩავამაგრე და ვუთაქე ურო. კვლავ ამომიხტა, თანაც კინალამ ფეხზე მომხვდა. რომ მომხვედროდა, კარგ დღეს არ დამაყრიდა.

ასე გამეორდა სამჯერ, ოთხჯერ, ხუთჯერ, ექვსჯერ, შვიდჯერ... ერთობ ჯიუტი ჯირკი გამოდგა. ოფლად გავიღვარე. მოვიწმინდე და ისევე შევერკინე. ჯირკის სიჯიუტეს ჩემი სიჯიუტე შევაჭიდე. გვიანი შემოდგომის უნიათო მზე ის-ის იყო გორაკს ეფარებოდა. ჯირკი აწინკინდა. სოლს ურო მოფუნაცვლე და ჯირკი შუაზე გადაიჩაჩხა.

მერე ის ორივე ნაპობიც ცალ-ცალკე დაეხლიჩე.

დანგრეული ჯირკი რომ ნახა გიორგი ბაბუამ, სიხარულით ცას ეწია: რა ბედნიერი დღე გამითენდა, შეილიშვილმა მიაჯობა, ეს ჩემი კერპჯიუტა იქნებო.

იმ ჯირკმავე ვარდისფერი ნაკვერცხლები დაყარა, ღიმილით გაბრდღვიალებული ნაკვერცხლები.



ლიდია მეგრელიძის საბავშვო ლექსები პირველად 1910 წელს გამოჩნდა საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ ფურცლებზე. მას შემდეგ მწერლის ლექსები და მოთხრობები სწორად იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და ასწავლიდა ბავშვებს სამშობლოს, ბუნების, შრომის სიყვარულს.

ახლა, ლიდია მეგრელიძის დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამო, ჩვენს მკითხველებს გვინდა გავაცნოთ ორი ლექსი, რომლებიც პატარაობისას ძალიან უყვარდათ მათ ბებიებსა და ბაბუებს.

ქეთოს პარსხალი

ბაფრინდა ქეთოს პერცხალი,
 აღარ ჭიკჭიკებს ბანხუდა,
 ქეთო მოწვენიტ გაჭურებს,
 ცრემლი უბრწყინავს თვალებზედა.
 და ასე ამბობს—ნეტავი,
 მეც რად არა მაქვს ფრთებიო,
 რომ მისებრ გადავიქროლო
 ცაღაბჯენილი მთებიო.



ლიდია მეგრელიძე შაჰორგომა

დაშაქრდა თეთრი მტკვნები,
 ნახეთ, რა გეპირიელია.
 ჭირიმე, შენი ჭირიმე,
 რა სისხარულის რთველია!
 ნიკოზი ბეგრი მოსულა,
 ვაძლი და კომში ბლომაა,
 ჭირიმე, შენი ჭირიმე,
 რა კარგი შემოდგომაა!

ბავშვის წიგნი

ნობათი

წამოდექით, ყმანვილებო,
ტანთ ჩაიცვით საჩქაროზე,
აბა, თავი მოიყარეთ
სწავლისათვის თავის დროზე...

ვინც სკოლაში დადის, იმან არ შეიძლება
ეს ლექსი არ იცოდეს. თქვენ იცნობთ მას
როგორც თქვენს ტოლსა და სწორს. მაგრამ...
შენ ექვსი წლისა ხარ, გოგა, შენ — შვიდისა,
ლელა, შენ ფარნა, აგერ-აგერ ათისა გახდები,
„მიპატრონებო სასწავლებელში“ კი ასი წლისაა,
100 წლის მოხუციაა ეს მუდამ თქვენისთანე-
ბის თანატოლი ლექსი. იგი დაიბადა 1883 წელს
ქართველი პოეტის რაფიელ ერისთავის კლამ-
ქვეშ და დაიბეჭდა საყმანვილო ჟურნალში,
რომელსაც „ნობათი“ დაარქვეს. სულ წელი-
წინადაწინა იარსება „ნობათმა“, მაგრამ ამ
ხნის მანძილზე ბევრი რამ სასარგებლო და
საინტერესო უფხრა ბავშვებს. ჟურნალის
რედაქტორ-გამომცემელი ანდრია ლულაძე
ბავშვებთან სასაუბროდ იწვევდა თავისი
დროის გამოჩენილ მოკალმეებს — „ნობათ-
ში“ დაიბეჭდა პირველად აკაკი წერეთლის
„ყმანვილი და პეპელა“, „მელა და ყურძენი“,
რაფიელ ერისთავის „ჯერ შრომა, მერე ხტო-
მა“, ვაჟა ფშაველას „შელის ნურის ნაამბო-
ბი“ და ჩვენი ლიტერატურის სხვა ასეთი მა-
რგალიტები. თქვენ ან უკვე იცით ეს ლექსები
და მოთხრობები ან სულ მალე გაიცნობთ
მათ — უამისოდ შეუძლებელია წიგნიერი
აღამიანები გამოხვიდეთ. მაგრამ ბევრი რამ,
რაც „ნობათმა“ უფხრა თავის დროის ბავშ-
ვებს, თქვენთვის უცნობი დარჩება, თუ
დავიწყებთ მტვერი არ მოვაცილებთ მათ...

„ნობათის“ ერთ-ერთ განყოფილებაში,
რომელსაც „ისტორიული კოკორი“ ჰქვია,
გამოქვეყნებულია მოთხრობები საქართვე-

ლოს ისტორიიდან. ახლა მოკლედ გაიხსენებთ
ერთ-ერთი მოთხრობის შინაარსს, როლდ
მანამდე გაგაცნობთ იმ ხანას, როცა ეს ამბა-
ვი მოხდა.

ეს იყო შაჰ აბას I-ის დროს... მაშინ ქარ-
თველებს ქრისტეს რჯული სწამდათ და ერთ-
იანი რწმენა აკავშირებდა, აძლიერებდა მათ.
ამ ერთიანობაში ბზარი რომ შეეტანა, შაჰ
აბასი ცდილობდა თავის რჯულზე — მაჰმად-
დიანობაზე მოექცია ზოგნი და ამ გზით
დაეჩქარებინა თავისი სანატრელი ოცნების
შესრულება — საქართველოს დამორჩილება.
ვინც არ მოინდომებდა დაეთმო ქრისტეს
რჯული, იმას შაჰი და მისი კაცები სხსტიკად
ანამებდნენ. ასე აწამეს ქართველების იმდ-
როინდელი მეფის თეიმურაზ I-ის დედა, ქე-
თევან დედოფალი, რომელმაც არა და არ
დათმო რწმენა, არ უღალატა სამშობლოს,
თავის ერთმორწმუნე ხალხს, თუმცა შანთე-
ბით სწავდნენ სხეულს.

ჰოდა, აი, განრისხებულმა შაჰმა თბილისი
ააოხრა, თბილისის მთავარი ტაძარი, სიონი
დაწვრიდა, იქიდან ღვთისმშობლის ხატი გა-
მოათანინა და ავლანის ხიდზე დაადებინა.
დატყვევებული ქართველებიდან ყველა
სათიფოდ ხიდზე გაჰყავდით და ვინც ხატს
არ შეაფურთხებდა, მტკვარში ავლებდნენ.

და აი, ხიდზე პატარა ბიჭია, თბილისელი
თერძის (მკერვა) კაკაბაძის შვილი, დედ-
მამის მიერ სამშობლოსა და რჯულის ერთ-
გულეობით გამოზრდილი ყმანვილი. მამა
გულისძგერით უყურებს, თუ რა მოხდება...
აი, ბიჭი ხატს მიუახლოვდა... ღვთისმშობ-
ლის გამოსახულებას შეაჩერდა... მერე წყნა-
რად ჩაიჩოქა და საკოცნელად ემთხვია.

ხალხში ჩოჩქოლი ატყდა, სპარსელებმა
ხელი სტაცეს ბიჭს მტკვარში გადასადგებად,
მაგრამ ამ დროს ხიდზე ბიჭის მამა აიჭრა,
გულში ჩაიკრა შვილი და მასთან ერთად გა-
დაეშვა წყალში...



...გარდა ისტორიული ამბებისა „ნობათი“ ბუნების მეცნიერებასაც აცნობდა ბავშვებს, ვთქვათ, წერდა ჰაერზე და მის თვისებებზე, წყალზე და მის თვისებებზე...

...საყოველთაოდ ცნობილია, რომ თევზები უტყევი არიან: არადა თურმე იტალიაში არის ერთი ჯიშის თევზი, რომელიც ქვირილის ყრის დროს „მუსიკურს ხმებს“ გამოსცემს. თან ამ თევზების მთელი ქარავანი ერთად ყრის თურმე ქვირილს და ამ დროს ისეთი ხმა მოდის წყლიდან, თითქოს გუნდი გალობდეს. ამ თევზს ლათინურად წყლის სირინოზი ჰქვია. ინდოეთის ოკეანეში მდებარე კუნძულზე — მადაგასკარზე არის ერთი მცენარე, რომლის ღეროს გულში ცივი და გამრიეული სასმელი წყალია. აფრიკაში, მდინარე ზამბეზის მახლობლად, იზრდება ჩირგვი, რომელსაც ფესვებზე მეჭვებები აქვს და ამ მეჭვებში უვამური, მაგრამ წყურვილის მომკვლეელი წვენია...

„ნობათის“ საინტერესო ცნობებში მოთხრობილია ასეთი ამბავი: 79 წელს იტალიაში ვულკანმა — ვეზუვიმ ამოხეთქა, და ფერფლმა სამი ქალაქი ჩანთქა. 1800 წლის შემდეგ მეცნიერებმა გათხარეს ეს ადგილები და სხვათა შორის, იპოვეს 12 წლის ბიჭისა და ძაღლის ჩონჩხები. ბიჭს ძალღი დადაშვარებოდა გადასარჩენად. საყვლოზე მას ამოკვეთილი ჰქონდა სახელი „დელტა“ და წარწერა, რომელიც იუნცებოდა, რომ ამ ძაღლმა სამჯერ იხსნა თავისი პატრონი სიკვდილისაგან — ერთხელ დახრჩობას გადაარჩინა, მეორედ ავაზაკებისაგან იხსნა და მესამედ — მგლებისაგან.

„ნობათში“ ბევრი უცხოელი მწერლის ლექსი და ზღაპარიც არის დაბეჭდილი, ქართული ხალხური ზღაპრები და ლექსებიც. აი, მაგალითად:



ციდან წამოვა ტოროლა,
ჩამოთელის გალობასაო,
წიგნი, ჭრა-კერვა გცოდნია,
ნეტავ შენს ქალობასაო.

ანდა აი „მუქთახორას“ ზღაპრის დაბოლოება:

ქვეყანა საგარჯილოა,
ზარმაცი სათაკილოა,
მისი სიცოცხლე, სიკვდილი
სატირალ-სასაცილოა.

კიდევ „ნობათში“ ბევრი გამოცანა და გასართობი, თავსატეხი და ჩქარა გამოსათქმელია დაბეჭდილი. თქვენთვის ამოკვრიფთ რამდენიმე. გამოცანების და თავსატეხების პასუხებს „დილის“ შემდეგ ნომერში გამოვაქვეყნებთ.

გამოცანა (აკაკი წერეთლისა)


„თეთრი რამ შავზე დახტოდა,
სტოვებდა თეთრსა კვალსაო,
კვალშივე უდგა ყმანვილი,
არ აშორებდა თვალსაო“.

ახირებული კითხვა:

შავ ზღვაში რომ თეთრი ქვა ჩავაგდოთ, რა მოუვა?

თავსატეხი:

ამ ბადის თვლებში ჩანერეთ შემდეგი ზსოვები: 4-ა, 3-ი, 2-ს, 2-ლ, 1-ე და 1-ს ისე, რომ მარცხნიდან მარჯვნივსაკენ გამოვიდეს იგივე სიტყვები, რაც ზევიდან ქვემოთკენ.



ტ. შარჭის ს.ს. საქ. სსრ
სახელმწიფო სტამბა
ბიძგის ქუჩაზე

ბელურა ტოვდა

ნუნუ ძაღბანიძე

ახალი წლის წინა ღამე იყო. სარკმელს მიკრული პატარა და-ძმა ჩამუქებულ ზეცას ასტყეუროდა. არსად არ ჩანდნენ თოვლის ფიფქები, ერთიც არ ტრიალებდა ჰაერში. არადა, როგორ უნდოდათ ბავშვებს თოვლი საახალწლოდ, როგორ ნატრობდნენ...

ერთმა ბელურამ უყურა, უყურა დაღონებულ და-ძმას, მერე ფრთა ფრთას შემოპკრა და ქალაქის თავზე განოღილ მძიმე ღრუბლებს მიაშურა. ღრუბლის რბილ კალთაზე უთვლივად თოვლის ფიფქს ეძინა მყუდროდ და ტკბილად.

— რა დროს ძილია! — დასჭყვილა ბელურამ. — სადაცაა ახალი წელი დადგება! ახლავე გაიღვიძეთ და ქალაქისკენ დაეშვით. თუ გზას ვეღარ იგნებთ, მე გაგიძღვებით წინ. — მაგრამ ფიფქები ასე ადვილად ვერ გააღვიძა — თოვლში ხომ ხმა საერთოდ სუსტად ისმის...

— ჩქარა გაიღვიძეთ-მეთქი! თავისი არ დაიშალა ბელურამ. თან რაც შეეძლო, ფრთები ააფათქუნდა და ერთი-ორჯერ გაჰკრა კიდვეც მძინარე ფიფქებს.

ბოლოს, როგორც იქნა, ერთმა ფიფქმა გამოახილა თვალი და წამოიწია:

— რაო, ბელურავ, აქ რა გინდა?

— ქალაქისკენ გამომყვივით, ჩქარა! — დასჭყვილა ბელურამ. — ბავშვები თქვენი ნატვრით აღარ არიან. აღარც ახალი წლის მოსვლა უხარიათ, აღარც საახალწლო საჩუქრები.



— ამას შენ ამბობ? — გაოცდა ფიფქი. — დაგავინწყდა, შარშან სიცვიისაგან აბუზული რომ გვეჩხუბებოდი, აქ რა გინდათ, თქვენთვის ცაში დაეტივით?

— არ დამეინწყნია. — ცოტა არ იყოს, სევდიანად თქვა ბელურამ. ვიცი, ახლაც გავენვალდები, მაგრამ ბავშვები მეცოდებიან. მე როგორმე გავძლევ. ბავშვებაც ალბათ მიშველიან, საკენეს დამეყრიან. აბა, ჩქარა! ლამპარაქის დრო აღარ არი. საცაა გათენდება. ახალი წლის დილას ბავშვებს თოვლი უნდა დახვდეს.

ფიფქი თვითონ ცივი იყო, მაგრამ ამავე დროს ძალიან გულთბილი. მასაც შეეცოდა ბავშვები. მარდად წამოხტა ფაფუკი საგებელიდან, მძინარე და-ძმებს ფარფატით ჩამოუარა და გააღვიძა. დატრიალდნენ ფიფქები, კამარა შეკრეს და მიძინებული ქალაქისკენ დაეშვნენ. ბელურამ პირდაპირ პატარა და-ძმის სახლის სახურავზე ჩამოაპილა ისინი, თვითონ კი ნისკარტით ფრთხილად მიაკაკუნა სარკმელზე... მაგრამ ბავშვებს ტკბილად ეძინათ და არაფერი გაუგიათ.

თქვენ ჯერ კიდევ გძინავთ, პატარებო. არ იცით, რა მშვენიერი საჩუქარი მოგიმზადათ ბელურამ. გაიღვიძებთ და გაიხარებთ ფაფუკი, ქათქათა თოვლით. ეს მართლაც ყველაზე ღამაში საჩუქარი იქნება თქვენთვის ამ ახალი წლის დილას.

და როცა ნახავთ სიცვიისა და შიმშილისაგან აბუზულ ბელურებს, ნუ დაიხარებთ: გამოაღეთ სარკმელი და საკენეი დაუყარეთ. ხომ შეიძლება მათში ის ბელურაც ერიოს, თქვენთვის თოვლი რომ მოიყვანა.



მხატვარი მარინე ლაბანიძე

ქარაფში კაკლები

მეხუღი



მეხუღი
 ცუბრუმელა ტუუნი ცალებს
 მზადოსა და მიიას
 სახსალწლოდ სილეული
 მოუტანს ბიმიამ.
 ფართოსალი თოსმეტიც,
 ვაშლი—სამით ნაკლებიც;
 ორივესე ორჯერ მეტი
 ჩხრიხსება კაკლებიც;
 ჩურჩხება და ბრწვეული
 ერთად ოცი ექნება.
 სუველა კი რამდენიც,
 იმას უნდა მიგნება!

ფოთა ამიკანაფილი

კაკლები
 თეთრჩაბალსინი
 და თეთროსე შემჯდარი,
 თეთრი ჩოსის შრიალით
 მოჭქრის თეთრი მსედარი.
 ნუზარ ახსნაზამა

საპარტეზლოს
 ალექ ცა-ნია
 და ვ. ი. ლენინის
 სახელობის
 პიონერთა
 ორგანიზაციის
 რედაქციური
 საბჭოს
 შუამდგომლობით
 უმცირესაბაზელ
 თათბის

ელაფე: ნახბტი ირბაქლი შარჯინანისა

შთაფარი რედაქტორი მანვარ ნიშარბაძე

არქივდართო კოლექცია: იმუარად ხმოსაბამ, ილია პანელიაზა, კაპრბი გოგიაშვილი, სლოთარო
 ლაშარაგაფილი, ლილა შრამა, მანანა კობახიძე, თინათო სალაუარი (პ. მდომანი), ზელა ლოსა-
 პიძიძე, ბავაგლა მდომოვილი, ჯუანხა ნალიძაძე, ზირკან გოგიაშვილი (სამხატვრო რედაქტორი),
 მანანა ხაჩიძე, ზვირ ვივიანაძე.

ტექნიკური რედაქტორი ენლი წერეთელი

მისამართო: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელე შთა რედაქტორის —
 93-41-30, 93-38-15; 2/შე მდომის — 93-10-32, 93-98-18, სახმ. რედაქტორის — 93-98-18; გაზეფი —
 93-98-19; 93-98-17.

გამოცემის
 1987
 წლიდან

საქ. კ. ცა-
 გამომცემლობა

Издательство
 ЦК КП Грузии

პლატიე ასაწიბად 26/Х 83 წ. ზეშთეფილია და საბეჭდად 10/7/1: 83 წ. ქალდოს ზამი 10x90/16
 ფის, სპ. ფურტი, 2პ, ტიპოფი 165000; შეკვ. № 2173. «Дизайн» № 12. ჟურნალი დია მადნიქლასიკა იქ
 გუიშქომ აზიკე. გალიწი რედქტორი ვ. ნიჯარაძე. თბილისი, ლენინი, 14-11-20 კ.

6/110/11

მხატვარი ივანე აბოქაძე

საუნადლო



ახალი წლის ღამეს



მზიანი
ახალი
წელი



— ელო, „ლილის“ კარგაქოთიანე ველო-
თან თაქენს ვიითხვედებს ახალი წელი
მუსურკვებ ჯანმრთელოგან და გუჯი-
თელ სწავდას.